ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 20

სხდომის ჩატარების დრო:

28 ივნისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოცე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, კ.გურული, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან - 26 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 9 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ერემეიშვილი, ი.უგულავა, ქალბატონი

თ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ა.ჩიხლაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „მინდა სამძიმარი გამოვუცხადო უკრაინის ომში დაღუპული ჯონი ოდიშვილისა და მალხაზ კვიჟინაძის ოჯახებს. ასევე, გათავისუფლებას ვულოცავ ნიკა გვარამიას და ფრაქციის სახელით მინდა გამოვეხმაურო გუშინ, მიშა მშვილდაძეზე თავდასხმას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „გულწრფელად ვუერთდები სამძიმარს და მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი ადამიანის და მითუმეტეს, მებრძოლი ადამიანის სიცოცხლე მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, იმ მძიმე ომს, რომელიც უკავშირდება რუსეთ - უკრაინის კონფლიქტს, ჩვენი გმირები ეწირებიან, რის გამოც გამოვხატავ მწუხარებას. ეს ადამიანი ქუთაისელია, მისი ოჯახის წევრები სამწუხაროდ, იმყოფებიან ემიგრაციაში. ჩვენგან, საკრებულოდან თუ რამე დახმარება იქნება საჭიროება გამოვხატავთ მზაობას. მერიის შესაბამის სამსახურებსაც ვთხოვ, რომ თუკი რამე სახის დახმარება იქნება საჭირო, დავუდგეთ ოჯახს გვერდით. ვუსამძიმრებ გარდაცვლილების ოჯახებს, ქალაქს. მძიმეა, რომ ამ საუკუნეში მიწევს იმ კონფლიქტზე და აგრესიაზე საუბარი, რომელსაც ნამდვილად არ აქვს საზღვრები. ეს ჩვენმა ქვეყანამ ბევრჯერ გამოცადა და ჩვენ ნამდვილად კარგად გვესმის უკრაინელი ხალხის.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი იოსებ ხახალეიშვილის მ/წლის 27 ივნისის წერილობითი მოთხოვნის გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მ/წლის 28 ივნისის სხდომის რეკომენდაციით **(დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა მე - 8 საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გალაკოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, რის გამოც, დღის წესრიგის პროექტის საკითხები გადაინომრა თავიდან.)**, ცვლილებით,

წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ანტონ ჩიხლაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

5. მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის მოწონების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №53ბ) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-20-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ის ფისკალური რესურსი, რაც მობილიზებულია, არის ის რესურსი, რომელიც თვითმმართველობას წლების განმავლობაში არ გააჩნდა. ფინანსური რესურსის უმეტესი ნაწილი ხმარდება ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების დაფინანსებას. გაიზარდა მოცულობები პროცენტულ ნაწილში და ასევე, ბენეფიციარების რაოდენობა. საკრებულოს ნაწილში უნდა აღვნიშნო, რომ ეს ეხება ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის დაფინასებას, რისი ვალდებულებაც გაჩნდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა: გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, თ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის **დავით ნიშნიანიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №67** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **თეა ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №** 201 ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **თეა ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 28 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის დანართის ბოლოს, ცხრილის მე-4 გრაფაში გასწორდა პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილ საერთო ჯამში დაშვებული შეცდომა, კერძოდ, თანხის ოდენობა: „17 234 533.0“, შეიცვალა „17 234 533.95-ით“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ანტონ ჩიხლაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ:** „დეპუტატებმა იციან და საზოგადოებისთვისაც რომ იყოს ცნობილი, საუბარია მე-17 საჭიდაო სკოლის რეაბილიტაციაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა: გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, თ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის **ანტონ ჩიხლაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის **№203 განკარგულების** პროექტში.

(„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №203** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის მოწონების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 28 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ ჩაემატა „ე“ ქვეპუნქტი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 23 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 3-მა წევრმა: ხ.არველაძემ, კ.გურულმა, ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის **№ 203 განკარგულების** პროექტში.

(„მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის მოწონების შესახებ“ **განკარგულება №204** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 28 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის დანართიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 ივნისის N44-4423178151 წერილობითი მომართვის საფუძველზე, ამოღებულ იქნა 469-ე პუნქტი - „ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირის №52-ის დასავლეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“; აღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების პროექტის პირველ მუხლში „№467-470“ პუნქტები შეიცვალა „№467-469“ პუნქტებით),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა: გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, თ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის **№ 205 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება № 205** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 28 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის დანართიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 ივნისის N44-4423178151 წერილობითი მომართვის საფუძველზე, ამოღებულ იქნა 215-ე პუნქტი - „ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირის №52-ის დასავლეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“; აღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების პროექტის პირველ მუხლში „№213-216“ პუნქტები შეიცვალა „№213-215“ პუნქტებით.),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,

ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი, გ.კილაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა: ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, თ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის **№206 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №206** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების**

(მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №53ბ) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 28 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში - საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნის ნომერი და ამ დასკვნის შესაბამისად ქონების წლიური საიჯარო ქირის ოდენობა. გამომდინარე აქედან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (26.06.2023 წელი, №004403123) მიხედვით, რომელიც 1 კვ.მ. სავაჭრო ფართისათვის (დახლი) შეადგენს 1080.0 (ათასოთხმოცი) ლარს, ხოლო, 1 კვ.მ. მაღაზიის ფართისათვის - 600 (ექვსასი) ლარს; გასწორდა განკარგულების პროექტის მუხლების ნუმერაცია**) ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „ მესამე ძალა“): „სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნაში, რომლის კომპეტენციაში არ გვაქვს უფლება ეჭვი შევიტანოთ, ცოტა გაურკვევლად წერია, რომ

1კვ.მ. სავაჭრო ფართის (დახლის) წლიური იჯარა განისაზღვროს 1080 ლარით, ხოლო მაღაზიის 1კვ.მ.-ის წლიური იჯარა - 600 ლარით. ცოტა გაურკვეველია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი:** „ორი სახის ფართია და ეს სამხარაულის ექსპერტიზის მიერაა დადგენილი:“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული:** „გეთანხმებით, ჩვენ ეჭვს ვერ შევიტანთ, მაგრამ ლოგიკასაა მოკლებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი:** „ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ მაღაზიაში აღებული ფართები გაცილებით დიდია, ვიდრე დახლის. დახლის შემთხვევაში გაიჯარებულია დაახლოებით 1-2 კვ.მ., ხოლო. მაღაზიის შემთხვევაში 20-25 კვ.მ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე არ ვიცი კონკრეტულ საკითხში რით იხელმძღვანელა სამხარაულის ბიურომ, მაგრამ მე შემიძლია ზოგადად გავაკეთო საკითხის კომენტირება. მაშინ, როდესაც უშუალოდ ამ სივრცის მოიჯარემ უარი თქვა დამატებით შეფასებებზე, შესაბამისად, ამ თანხის გადახდაზე და გააუქმა მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულება, ჩვენი, ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მიდგომა იყო ის, რომ იქ მომუშავე ადამიანებს არ ჰქონოდათ შეფერხება მათ საქმიანობაში, ჩვენი მიზანი იყო ამ ადამიანებს ადგილობრივი თვითმმართველობიდან ჰქონოდა მხარდაჭერა, უშუალოდ მათთან გაფორმდება საიჯარო ხელშეკრულებები, ისინი განაგრძობენ შეუფერხებლად მუშაობას და მუნიციპალიტეტს გადაუხდიან კონკრეტულ ბენეფიტს ფინანსური რესურსის სახით, ისინი თავადაც ისარგებლებენ ჩვენი შეთავაზებული პირობებით. ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, რა თქმა უნდა, საშუალება გვექნება დამატებითი კომუნიკაციის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლ.ჭოხონელიძე:** „შეიძლება ერთმა ადამიანმა აიღოს მაღაზია იჯარით და შემდეგ დახლებად გააიჯაროს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბ.ხამაშურიძე, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, თ.ხურციძემ, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის **№207 განკარგულების** პროექტში

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №53ბ) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №207** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, სხდომაზე გამოვიდა საკრებულოს წევრი, **ხათუნა არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“). **მან აღნიშნა:** „დღევანდელ სხდომაზე მსურს, საკრებულოს წინაშე შემოვიდე ინიციატივით, რომელიც შეეხება ბავშვებს და მათ უფლებებს, ჰქონდეთ უსაფრთხო გარემო ყველა სივრცეში. ქუთაისში არის 38 საჯარო და 13 კერძო სკოლა, ასევე, ფუნქციონირებს 37 ბაგა-ბაღი, ამასთან, დღეის მოცემულობით

გვაქვს საკმაოდ ბევრი კერძო ბაღი. გაცნობებთ, რომ ამ დღეებში შევისწავლე გზის პირას განთავსებული სასწავლო და სკოლამდელი დაწესებულებების წინ საგზაო უსაფრთხოებისა და კანონით გათვალისწინებული რეგულაციების საკითხები. როგორც ირკვევა, ბავშვების უსაფრთხოება ნაკლებადაა დაცული სასწავლო დაწესებულებების წინ. როგორც ვიცით, იქ, სადაც ბავშვთა დაწესებულებებია, უნდა იყოს განთავსებული საგზაო ნიშნები, მაგალითად, „ბავშვები“, ასევე მაქსიმალური სიჩქარის შემზღუდველი ნიშანი, ზებრა გადასასვლელები, ე. წ. „მწოლიარე პოლიციელები“ და თუ ეს შესაძლებელია, გამაფრთხილებელი შუქნიშნებიც. გარდა იმისა, რომ ბავშვებს სკოლაში მისვლა და წამოსვლა უწევთ ამ გზებით, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს ისინი ხშირად სარგებლობენ სკოლის მიმდებარედ არსებული კვების ობიექტებით, ან მაღაზიებით, რისთვისაც იყენებენ გაკვეთილებს შორის შესვენებებს და ხშირ შემთხვევაში უწევთ გზის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა, ამიტომ ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, აუცილებელია სასწავლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმდებარედ შესაბამისი ზომების მიღება, კერძოდ, საგზაო ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი საგზაო ნიშნების დამონტაჟება.

რაც შეეხება მეორე ინიციატივას, ის შეეხება მოსწავლეთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ფასზე შეღავათის დაწესებას. დღეის მოცემულობით, მუნიციპალურ ტრანსპორტში 8 წლამდე ასაკის ბავშვების მგზავრობა არის უფასო, თუმცა, 8 წლის ასაკის ზემოთ ბავშვები და მოზარდები იხდიან მგზავრობის მთლიან თანხას (60 თეთრს). დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე აღნიშნული შეღავათი მნიშვნელოვანია ოჯახებისთვის. ხშირ შემთხვევაში ოჯახს ჰყავს ორი, სამი და მეტი მოსწავლე, რომელთა მგზავრობის ხარჯი ყოველდღიურად არაა ცოტა თანხა დღევანდელ პირობებში, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლეები, გარდა სკოლისა, დადიან სხვადასხვა სპორტულ სექციებში, მუსიკალურ სკოლებში, ქორეოგრაფიულ, ან სხვა სტუდიებში, რისთვისაც დამატებით უწევთ ტრანსპორტით სარგებლობა. აღნიშნული შეღავათის გაკეთება მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის და შესაძლებელია ბიუჯეტშიც შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონ ანტონს ვთხოვ, გავითვალისწინოთ ქალბატონი ხათუნას ინიციატივა. ძალიან გთხოვთ ამას ჰქონდეს უკუკავშირი. შევისწავლოთ მდგომარეობა, რამდენი ობიექტია, რა გვაქვს გასაკეთებელი და ასევე გვქონდეს ინფორმაცია რა ფინანსურ ხარჯზეა საუბარი. ბავშვების უსაფრთხოებაზეა საუბარი, შევისწავლოთ ეს საკითხი და დავგეგმოთ ბიუჯეტი ისე, რომ მოწესრიგდეს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტს ჰყავს შესაბამისი ააიპი, თქვენმა სამსახურმა ააიპ-თან ერთად მოახდინოს აღნიშნული საკითხის შესწავლა, ბიუჯეტის განსაზღვრა და შემდეგ იქნებ მოვახერხოთ ისე, რომ სექტემბრისთვის გვქონდეს გამართული ინფრასტრუქტურა და ბავშვებისთვის გადაადგილება იქნეს უსაფრთხო. მეც ვიცი ეს საკითხი, ვფიქრობ, კარგი ინიციატივაა ქალაქისთვის. ამისთვის, ვფიქრობ, ერთი თვე საკმარისი იქნება და ბატონო ანტონ, ამ პერიოდში თქვენი სამსახურიდან ველოდებით უკუკავშირს ამ საკითხთან დაკავშირებით და შემდეგ გამოვძებნოთ თანხები, რომ სექტემბრისთვის ეს საკითხი მოვაწესრიგოთ. რაც შეეხება მეორე ინიციატივას. თქვენ იცით, რომ სუბსიდირების ნაწილში დაახლოებით 400 ათასი ლარით შეგვიმცირდა მომსახურება, იქედან გამომდინარე, რომ შემცირდა საწვავის ფასი. კარგად არის დასათვლელი რამდენი მოსწავლე სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტით, რამდენის სუბსიდირებას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობა. ჩვენ ეს საკითხი რამდენიმე ფორმატში განვიხილეთ, თუმცა იმ დროდ, როდესაც 4 600 ათასი ლარის სუბსიდირება უწევდა თვითმმართველობას, სამწუხაროდ, მაშინ ეს თანხები ვერ გამოიძებნა. ახლა, როცა სუბსიდია შემცირდა 400 ათასი ლარით, ამ პირობებში შეგვიძლია ვიმსჯელოთ დამატებით ამ საკითხზე. ხვალ ჩვენ გვექნება კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა, ვიმსჯელოთ სხდომაზე აღნიშნულის შესახებ. ინფრასტრუქტურის ნაწილში აქაც ჩავრთოთ შესაბამისი სამსახური და ვთხოვოთ შეისწავლოს საკითხი, რამდენად უსაფრთხოა ბაგა-ბაღების მიმდებარედ გადაადგილება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე-17 სკოლის

მიმდებარედ, წვიმების დროს დგება ძალიან დიდი ტბა. ბავშვებს სკოლის პერიოდში უწევთ სველი ფეხებით სკოლაში შესვლა. ვინაიდან, ახლა კარგი ამინდებია, იქნებ მოგვარდეს ეს პრობლემა. ბატონ ვიკა ნაკაშიძეს სოციალურ სივრცეში აქვს გვერდი გაკეთებული, სადაც დაიწერა, რომ აღნიშნული პრობლემა მოაგვაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა. მე რომ მქონდეს ამის ფინანსური საშუალება, ნამდვილად დავაგებდი გზას და მოვაგვარებდი პრობლემას. ეს არის საკითხი, რომელიც დარწმუნებული ვარ, ერთნაირად აწუხებს ოპოზიციასაც და პოზიციასაც. მე ადგილზე გახლდით კარგ ამინდშიც და წვიმიანშიც, მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი არის გაბიდნილი, სანამ ამინდებია, უნდა მოგვარდეს პრობლემა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე:** „ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოვიკვლიოთ ყველაფერი, რომ შემდეგ გასაკეთებლად დაგვრჩეს დრო და სკოლებისა და ბაღების წინ მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება ნიკეას ტერიტორიაზე წყლის დაგუბებას. როგორც ვიცი, იქ უნდა მომხდარიყო წყლისთვის მიმართულების შეცვლა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ა.ჩიხლაძე:** „პროექტირებაზეა გაგზავნილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ვიცი რომ პროექტი არის, მაგრამ კიდევ რომ არ გადაიდოს ეს საკითხი, ამიტომ ბატონი ირაკლი ჩავაყენე საქმის კურსში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, **ა.ჩიხლაძე:** „ერთ თვეში დასრულდება პროექტირება და შემდეგ გამოცხადდება ტენდერი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რადგან პროექტირებაზეა წასული, იქნებ სექტემბრამდე მოვასწროთ სკოლის მიმდებარედ პრობლემის მოგვარება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ის ტერიტორია არის ჩავარდნილი და მე არ ვიცი იქ რას მოიფიქრებს არქიტექტორი. იქ აუცილებელია სპეციალისტების მისვლა და საკითხი არის ღრმად შესასწავლი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ქალბატონო ანა, ინფრასტრუქტურის სამსახურთან ერთად შეგიძლიათ მიბრძანდეთ ადგილზე და გაეცნოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-20-ე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20-ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2024.06.18 11:39:47 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.